სტრასბურგის
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს
ახალი თავმჯდომარე ჰყავს

2011 წლის 4 ივლისს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ახალი თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა. თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი ***ნიკოლას ბრატზა*** (გაერთიანებული სამეფო), რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება 2011 წლის 4 ნოემბრიდან. სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა საიდუმლო კენჭისყრით და მასში მონაწილეობდა სასამართლოს 47 მოსამართლე.

ამჟამინდელ თავმჯდომარეს ბატონ ***ჟან-პოლ კოსტას*** 2011 წლის 3 ნოემბერს ეწურება თავისი მანდატი, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, მოსამართლის უფლებამოსილების ვადა იწურება 70 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

ბატონი ნიკოლასი დაიბადა 1945 წლის 3 მარტს. სწავლობდა სამართალს ოქსფორდის უნივერსიტეტში. იურისტის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, იგი დაინიშნა უმცროს ადვოკატად, ხოლო შემდეგ სამეფო ადვოკატად. 1993 წელს აირჩიეს ბარისტერთა სკოლის დეკანატის წევრად და შესაბამისად, დაინიშნა გვირგვინის სასამართლოს მოსამართლედ. ბატონი ნიკოლასი უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა 1998 წელს. 1993-1998 წლებში იგი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის წევრი. 1998 წლის 1 ნოემბრიდან არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2001 წლიდან – სექციის თავმჯდომარე. 2007 წლის 19 იანვრიდან იგი ასევე არის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.